# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესასხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

### ქართულ დედათა სკოლის გამო

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლევანდელს კრებაზედ წაკითხულ იქმნა სხვათა შორის მოხსენება იმ დედათა კომიტეტისა, რომელსაც აზრადა აქვს დააარსოს ტფილისში ქართული დედათა სასწავლებელი. რადგან ამ სკოლის საქმე და ვითარება მეტად საყურადღებო საგანია ჩვენის საზოგადოებისათვის, ამიტომ ეს მოხსენება მოგვყავს აქ სიტყვა-სიტყვით ისე, როგორც ბანკის წევრთა კრებაზედ წაიკითხეს:

დიდი ხანია ქართველი საზოგადოება ჰგრძნობს საჭიროებას, იქონიოს იმისთანა სასწავლებელი დედათათვის, რომელსაც შეეძლოს დააკმაყოფილოს ჩვენის ცხოვრების მოთხოვნილებანი. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენის წარმატებისათვის, ჩვენის ეროვნობისათვის, ჩვენის მომავლისათვის საჭიროა, რომ ქართველნი ქალნიც ამოუდგნენ მხარში თავიანთ მამათ, ძმათ და ქმრებს და მათთან ერთად იბრძოლონ საზოგადო საქმის წარმატებისათვის, იმ საზოგადოებისა, რომელსაც არა ჰყავს გონივრულად აღზრდილი დედა, და და მეუღლე, ხელიდამ ეცლება ყველა ის, რაზედაც დამყარებულია ოჯახობის, საზოგადოების და მთელის ერის წარმატება. შავი ღრუბელი ეფარება იმ ხანას ერის ცხოვრებისას, როდესაც ქალი ივიწყებს თავისს მოვალეობას: ოჯახობას, საზოგადოებას და თავისს ერს და მხოლოდ ქალსავე შეუძლიან ამ ღრუბლების გაფანტვა. ამ აზრებით ხელმძღვანელობდნენ ის ქალები, რომელთაც ამ ორის წლის წინად დააარსეს ტფილისში „დედათა კომიტეტი“, რათა მან გამოძებნოს ყოველივე საღსარი, ყოველივე ღონისძიება საზოგადო სურვილის განსახორციელებლად. „დედათა კომიტეტის“ აზრით, მომავალი ქალთა სასწავლებელი უნდა შესდგებოდეს სამის მოსამზადებელის განყოფილებისაგან და ხუთის საგიმნაზიო კლასისაგან თავისის პანსიონით. გარდა საზოგადო სამეცნიერო საგნებისა მომავალს სასწავლებელში შეისწავლიან სამეურნეო საგნებს, საოჯახო ხელოვნებას, ხატვას და გალობას. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული დედა-ენას, სამშობლო ლიტერატურას და ისტორიას. რომ ამ გვარი ჩვენის დროისათვის მეტად სასარგებლო და საჭირო სასწავლებელი დაარსდეს და მისი დღეგრძელობა სამუდამო იყოს, „დედათა კომიტეტმა“ დაიწყო თანხის შედგენა და ჰსურს, რომ ეს თანხა იმ ზომამდის გაადიდოს, რომ მისი სარგებელი მომავალს სასწავლებელს შეუწყვეტელ წყაროდ გაუხდეს. ამ ორის წლის განმავლობაში „დედათა კომიტეტმა“ კერძო კაცთა დახმარებით შეაგროვა ხუთას თუმანზე მეტი. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ ასე წვრილ-წვრილად შეგროვდეს ის საჭირო თანხა, რომელიც უნდა საფუძვლად დაედოს განზრახულს სასწავლებელს. ამისათვის „დედათა კომიტეტი“ მიჰმართავს ბანკის დამფუძნებელ წევრთა და სთხოვს დახმარებას. ბანკის დამფუძნებელთ ჩვენ ამ მოკლე ბარათით ახალს არაფერს მოვახსენებთ. ჩვენ აქ ვაღიარებთ მხოლოდ იმას, რაც თითოეულს მათგანს დიდი ხანია გულზე აწერია და რასაც არა ერთხელ აუღელვებია. „დედათა კომიტეტი“ სცდილობს განახორციელოს საყოველთაო სურვილი—დააფუძნოს დედათა სასწავლებელი იმ მიმართულებით და იმ პროგრამით, რომელიც შეეფერება ჩვენის ცხოვრების აწინდელს მდგომარეობას და ამისათვის დარწმუნებულია, რომ სათავად-აზნაურო ბანკის საზოგადო კრება ერთხმად გარდასწყვეტს, ეძლიოს ყოველ წლივ ჩვენს კომიტეტს ხუთასი თუმანი.

---

### ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა—ძე შერემეტევი სამშაბათს, 4 ივნისს, დილით მიემგზავრება ქუთაისის გუბერნიაში; ტფილისში დაბრუნდება 8 ივნისს, შაბათს, დილის მატარებლით.

*** ტფილისის საკადეტო კორპუსში ეგზამენები გათავდა. წელს სწავლა დაუსრულებია სულ 40 ყმაწვილს, ამათგან მართლმადიდებელნი არიან—34, სომხ-გრიგორიანი—4 და მაჰმადიანი—2. სწავლა-დამთავრებულნი გაემგზავრებიან პეტერბურგისა და მოსკოვის სამხედრო სასწავლებლებში. მოგვყავს სია ჩვენთა თანამემამულეთა, ვინ რომელ სასწავლებელში მიდის: პაჟების კორპუსში—თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანი, ნიკოლოზის საცხენოსნო სასწავლებელში—თავ. ჭავჭავაძე და მელიქოვი, მიხეილის საარტილერიო სასწ.—ანანია და ქორქაშვილი, პავლეს 1-ს სამხედრო სასწ.—მარდანოვი, მე-2 სამხედრო კონსტანტინეს სასწავ.—თავ. არღუთინსკი-დოლგორუკი, ოსეფიანცი, მატაფიანოვი, თეთროევი და დოლუხანოვი, მე-3 ალექსანდრეს სამხედრო სასწავლ.—ქართველოვი 1-ლი და ქართველოვი—მე-2.

*** დღეს, დილის $10^1/_2$ საათზე, მთავარ-მართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი ს. ა—ძე შერემეტევი ინახულებს ტფილისის საბჭოს ხმოსნებს, გამგეობის წევრთ და ქალაქის ახალს თავს, თავ. ნ. ვ—ძეს არღუთინსკი-დოლგორუკის. ამისათვის თავ. არღუთინსკიმ ყველა ხმოსანი მიიწვია გამგეობის დარბაზში დილის 10 საათისათვის და აქედამ ერთად წავლენ მთავარ-მართებლის სასახლეში.

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ, ორშაბათს, ტფილისის საბჭომ უნდა აირჩიოს მესამე წევრი გამგეობისა, ბ-ნ ნ. ა—ძის პაპოვის მაგიერ, რომელმაც ამას წინად თავი დაანება სამსახურს. როგორც ამბობენ, გამგეობის წევრობაზედ კენჭის ჩამოტარებას აპირობენ: თავ. ი. გ—ძე მაჩაბელი, მ. ვ—ძე მაჩაბელი და გორის ქალაქის თავად ნამყოფი ი. კ—ძე ელიმირზოვი.

*** გიმნაზიებში დაწესებულია, რომ მოსწავლეთ ნება აქვთ, წლის განმავლობაში ერთ-ერთი ახალი ენა აირჩიოს შესასწავლად და მერე გამოსცვალოს მეორეზედ, თუ მოისურვებს. მომავალის წლიდგან, როგორც რუსეთის გაზეთები სწერენ, ესეთი წესი აღარ იქნება თურმე. მოსწავლეს ნება ექნება, რომელი ენაც უნდა, ის აირჩიოს, მაგრამ საბოლოოდ-კი: სანამ გიმნაზიას არ დაასრულებს, სულ ეს ენა უნდა ისწავლოს. მეორე ახალის ენის შესწავლა ისევ მოსწავლეს ნება-ყოფლობაზე დარჩება—უნდა ისწავლის, უნდა არა.

*** გზათა მინისტრის განკარგულებით წრევანდელ წლიდგან რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლეთ დაითხოვენ სწავლისაგან—კლასსა და სახელოსნოებში—ივნისის 15-დამ 1-ლ მარიამობის თთვემდე, ასე რომ ამას იქით ამ სკოლების მასწავლებელთ და მოსწავლეთ ექვსი კვირა ექნებათ ზაფხულის „კანიკულები“.

*** ხუთშაბათს, 30 მაისს, კრება ჰქონდა სომეხთ დრამატიულს კომიტეტსა და სომხურ სცენის მოყვარეთ. კრებას სჯა ჰქონდა იმის შესახებ, თუ საიდგან აღმოვუჩინოთ სომხურს თეატრს საშუალებაო. დრამატიულს საზოგადოებას ამ ჟამად მხოლოდ 114 მან. აქვს ნაღდი ფული. არტისტმა პეტროსიანცმა ქაღალდი მისცა კომიტეტს და გამოუცხადა, მე ვიკისრებ სომხურ თეატ-

---

## ფელეტონი

### ტფილისის თვით-მართველობა

კიდევ თვით-მართველობაო—უკმაყოფილოდ წამოიძახებს ჩემი მკითხველი, და ნეტა იმდენი მოთმინება მაინც მისცა, რომ მაშინვე თავი არ გაანებოს ამ წერილს. საქართველოში ექვსს ქალაქსა აქვს მინიჭებული თვით-მართველობა და დღეს საზოგადოდ ქალაქს ისეთი დიდი ზედმოქმედება აქვს ქვეყანაზე, რომ რაც უნდა ბრმა იყოს ქართველი კაცი, შეუძლებელია არ დაინახოს ესეთი მნიშვნელობა ქალაქისა ქვეყნის ცხოვრებაში. ამ დანახვასა და თვალის გახელას აუცილებლად უნდა მოჰყვეს, რაც გინდ ბევრი ეწინააღმდეგოთ, ისა, რომ ყოველი მამულიშვილი უეჭველად ეცდება, მიიღოს თავისი მონაწილეობა ქალაქის ავ-კარგიანობაში, თუ პირდაპირი მონაწილეობა არა, გულითა და გონებით მაინც აადევნებს თვალს ქალაქის ჭირსა და სიხარულს, სიტყვას მაინც დაჰხარჯავს მის სასიკეთოდ, რჩევას მაინც მოაწვდის, თუ საჭიროებამ მოითხოვა. აქედამ დასკვნა ცხადია: უნდა ვიცოდეთ ქალაქის ვითარება და მეტადრე მისი უკეთესი მხარე, მისი თვით-მართველობა. თვით-მართველობიანს ქალაქებში ჩვენი ტფილისი უფრო ხნიერია და ღრმადა აქვს ფესვი გადგმული. მისი ცოდნა და გამოცდილება უფრო დიდია, უფრო მეტს შეგვატყობინებს კარგსა და ავს და მის მიერ განვლილი გზა სხვა ქალაქებსაც გამოადგება.

ამიტომ დღევანდელ ბაასის საგნად მე ავიღე ერთი მწარე გამოცდილება ტფილისის თვით-მართველობისა, რომელიც დღითი-დღე უფრო სანანური ჰხდება და რომლის გამოც ყოველი მართებული წარმომადგენელი ამ თვით-მართველობისა სულ იმას გაიძახის—„ჰქვისა გვჭირსო“. მე მოგახსენებთ იმას, რომ ჩვენს ტფილისს არა აქვს საქალაქო მამულები ქალაქის შუაგულს ადგილებში. ეს გარემოება დღეს ისე სცემს ცხვირში ჩვენს თვით-მართველობას, რომ სხვა გაჭირება და ნაკლი თითქმის მეათედად არ არის საგრძნობელი მისთვის. ვიდრე ქალაქი ნაკლებ იყო დასახლებული, მანამდე მისი მაშინდელი წარმომადგენლები უფრო იმისს ზრუნვაში იყვნენ, რომ რაც შეიძლებოდა მომეტებული ხალხი დასახლებულიყო ტფილისში. ოღონდ ვისმე გამოეცხადებინა სურვილი სახლის აშენებისა, თორემ ქალაქის ადგილს მუქთადაც უთმობდნენ. ასე იარა საქმემ და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ქალაქის შუაგულს მიწებზე სულ კერძო კაცებმა გადაჰკიმეს სახლები, დაიტაცეს მამულები, და როცა ქალაქის თვით-მართველობა შემოვიდა, ქალაქს აღარა ჰქონდა მიწები, რომ ან რიგიანი მოედანი გაემართა მცხოვრებთა საჭიროებისათვის, ან შესაფერი ბაზრები, ან სასეირნო ადგილები და ბაღები. ეხლა ყოველივე ესე ძლიერაც უჭირს, მაგრამ ხსნა-კი თითქმის არსაიდამ უჩანს. იმოდენა ნაწილები ქალაქისა, როგორიც არის სოლოლაკი, მთაწმინდა, შუაბაზრის მიდამო და სხვანი, ისეა დასახლებული, რომ პატარ-პატარა ვიწრო ქუჩებისთვის ძლივს-ღა გადარჩენილა ადგილები, არა თუ ახლა იფიქროს-ღა კაცმა ბაღებისა და მოედნების გამართვა.

**

სადამდის საჭირ-ბოროტოდ გაუხდა ეს ამბავი ტფილისის თვით-მართველობას, თქვენ თითონ შეგიძლიანთ, გასინჯოთ, თუ მიიღებთ მხედველობაში შემდეგს გარემოებებს: მაგალითად, იგი ვალდებულია ინაღვლოს მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის, მაგრამ ისეთი რა წესი უნდა ჩამოაგდოს ამისთანა მჭიდროდ დასახლებულს ქალაქში, რომ მისმა ღონისძიებამ გასჭრას? სახლები ისეა ერთმანეთზე მიკრული და მიტკუცული, რომ რა წამსაც სადმე გადამდები სენი გაჩნდება რამ—ეს წითელაო, ქუნთრუშა, ყივანახველა,—თითქმის ელდასავით მოედება მთელს ნაწილს ქალაქისას და ხშირად მთელს ქალაქსაც. მსხვერპლი მსხვერპლზე მიაქვს ჭირსა და პატრონი არავინ არის. ან-კი რა პატრონობა შეიძლება! გინდ ყოველს სახლს თითო ექიმი მიუჩინო, ჭირი მაინც ისეთს საშიშარს სიახლოვეზეა, რომ მისს ძლევა-მოსილს მიმდინარეობას ძნელად თუ გააჩერებს რამ. გარდა ამისთანა გადამდებ ავადმყოფობისა სხვაფრივაც მავნებლადა ჰმოქმედობს ასეთი მიყრილი შენობები. ადგილი არ არის, რომ სახლის პატრონმა რაიმე ხე და მცენარე გაჰზარდოს თავისთვის ეზოში და მათის შემწეობით დაიცვას ჰაერის სიწმინდე და სისაღე. ამის გამო ქალაქის მცხოვრებელს სიცოცხლე უმოკლდება და უდროოდ ეთხოვება წუთი-სოფლის. დღეს რომ ქალაქმა ცოტად მაინც შეასრულოს თავისი მოვალეობა მოქალაქეთა მი-

რის სამუდამო დასის შედგენას, თუ რომ საზოგადოება 2,500 მან. დამეხმარებაო. სამაგიეროდ პეტროსიანცი აღუთქვამს: სტამბოლიდამ ორს არტისტ-ქალს და ერთს კომიკს გამოვიწერ, დანარჩენებს-კი აქ შევკრებო. მთელის სეზონის განმავალობაში გავმართავ წარმოდგენებს, თთვეში 4-ჯერაო. 500 მან. ამ თავით უნდა უნდა მიეცეს პეტროსიანცს, რომ სტამბოლს წავიდეს, 500 მან., როცა კომიტეტს მოუვა იმისაგან 3 არტისტის ხელ-შეკრულობანი სტამბოლიდამ, დანარჩენი 1,500 მან.-კი კომიტეტს უნდა ჰქონდეს იმ შემთხვევისათვის, თუ დასმა ვერ დაჰფარა შემოსავლიდგან ყველა ხარჯი.

კრებამ დიდხანს ილაპარაკა თეატრის საქმეებზედ, ბოლოს მიიღეს ბ-ნის პეტროსიანცის წინადადება. იქვე გაჰმართეს ხელის-მოწერა და 800 მანათამდე ფული შეგროვდა. როცა ხელის-მოწერა 2,500 მანათამდე აიწევს, მაშინ გაისტუმრებენ პეტროსიანცს სტამბოლს.

*** დღეს, ამ თთვის 2, ამიერ-კავკასიის დედათა ანსტიტუტში ნაშუადღევის 12 საათზე წლიური აქტი იქნება.

*** პოლიციის უკანასკნელს „ბრძანებაში“ გამოცხადებულია, რომ ბ-ნ ტფილისის პოლიციმეისტერის ლ. პ. მასტიცკის ახალციხიდგან დაბრუნებამდე მის მოადგილედ ნ. ი—ძე სოკოლოვსკი იქნებაო.

*** ტფილისის პოლიციმეისტერი ლ. პ. მასტიცკი ამ თთვის 22 რუსეთში მიდის ორის თთვის ვადით.

*** ამ ჟამად პოლიცია დაეძებს 15 წლის ბავშვს მიხა მიბაროვს, რომელიც მოსამსახურედ ყოფილა გაბო საფაროვთან. ბავშვი სახლიდგან გამოსულა მაისის პირველს რიცხვებში და აქამდინ ჯერ არ დაბრუნებულა და არავინ იცის, რა მოუვიდა.

*** ერთს ცოფიანს ძაღლს მაისის 31 ავლაბარში დაუკბენია ერთი გლეხი და ძაღლებიც, რომელნიც ჯერ არ არიან დახოცილნი და შესაძლოა, რომ ამათაც დაჰკბინოს ხალხი.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა კავკავიდამ მაქსის ცირკი. ცირკის დასში სულ 35 კაცია და წარმოდგენებს გაჰმართავს ერთ-ერთს ბაღში მიხეილის ქუჩაზე.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე არა ერთხელ დამსხვრეულა მატარებელი, როდესაც ორთქლ მავალის ქვეშ ჩავარდნილან კამბეჩები, რომელსაც ვერა ღონის ძიებით ვერ გადარეკავენ ხოლმე რკინის გზის ლიანდაგიდგან თავისს დროზე. ეხლა ერთს ამერიკელს ნასწავლს გამოუგონია ამის ღონის-ძიება და ეს საშუალება ჰსურთ იხმარონ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ. ეს ღონის-ძიება შემდეგია: ორთქლ-მავალის ქვაბიდგან გაყვანილია წვრილი მილი ორთქლ-მავალის წინ და ქვაბთან, სადაცა სდგანან მაშინისტი და მისი თანაშემწე. მილსა აქვს ონკანი. როდესაც მაშინისტი შეამჩნევს რკინის გზის ლიანდაგზე მოსიარულე სხვილფეხს საქონელს, მოუშვებს ონკანს და მილიდგან ორთქლ-მავალის წინ შადრევანივით გამოვა ადუღებული წყალი, რომელიც რამდენსამე საჟენზე გადაასხავს, რადგანაც ქვაბში ორთქლი და წყალი ძლიერ შეკმუშულია და გარედ იწევს. ადუღებული ცხელი წყალი მოხვდება თუ არა პირუტყვს, მატარებლის მიახლოვებამდე იგი გაიქცევა რკინის გზის ლიანდაგიდგან— მატარებელი უვნოდ გაივლის და შემდეგ მაშინისტი იმავე ონკანით შეაყენებს ცხელს წყალსა.

*** 28 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია სისხლის სამართლის საქმე პირველ გილდიის ვაჭრის იორდანე იაგორის ძის სიხარულიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა სასწორში სიყალბე. ქუთაისის ოლქის სასამართლოსაგან ჰქონდა მისჯული სამის თთვით ციხე და სამუდამოდ ვაჭრობის აღკრძალვა. 28 მაისს პალატამ გაამართლა ბრალდებული, რომელსაც იცავდა ნაფიცი-ვექილი ოპოჩინინი.

*** ინგლისის საყოველ-კვირაო ჟურნალ „The Academy“-ის თებერვლის ერთ-ერთს ნომერში დაბეჭდილია საკმაოდ ვრცელი შენიშვნა „ვეფხვის-ტყაოსნის“ გერმანულ თარგმანის შესახებ. ამ შენიშვნის ავტორი პროფესორი ოქსფორდის უნივერსიტეტისა, ვ. რ. მორფილი ჯერ მთარგმნელის წინანდელ ნაწერების გამო ლაპარაკობს და იმის ქართველთ მგოსნების სალირიკო ლექსების თარგმანის თაობაზედ ამბობს, რომ დიდი, „არა-ჩვეულებრივი ღვაწლია“, მაღალის პოეტურის გრძნობის სისრულითა და სავსებით ქმნილი და შესრულებულიო. „ახლა კიდევაო, განაგრძობს შემდეგ მორფილი, წარმოიდგინეთ, რომ ბ-ნს ლეისტს უთარგმნია იცით-რა? პოემა მეთორმეტე საუკუნისა, ის პოემა, რომლითაც ქართველთ ასე სამართლიანად მოსწონთ თავი. იმათი მწერლობა ისე მცირედ არის ცნობილი, რომ ამ პოემის თარგმანის ნახვა ბევრს დიდად გააოცებს, რადგან გაგონებითაც არ ექმნებოდა დღემდე, რომ ასეთი თხზულება არსებობს ქვეყანაზე“. შემდეგ 200 სტრიქონზე მეტია დაწერილი და პროფესორი მორფილი არჩევს პოემის გარეგანსა და შინაგანს ღირსებასა. თან მოგვითხრობს ყოველს იმ ამბავს, რაც-კი არსებობს, რუსთაველის ცხოვრების შესახებ. ბოლოს ავტორი პოემის შინაარსსაც გვიამბობს. ამ შინაარსის შესახებ ამბობს, რომ „ცოტა გულუბრყვილო თვისებისაა, იქნება მეტი-მეტად სადა და მარტივი დასავლეთ ევროპის ერთათვისაო“. ქართულის ენის შესახებ მორფილი ამბობს, რომ ცოტაოდენი მსგავსება აქვს ბასკების ენასთან (პირინეის მთებში სცხოვრობენ); ხოლო ქართულს ენას დიდი უპირატესობა აქვს ბასკების ენის წინაშე, რადგან ქართველებს მდიდარი სიტყვაკაზმული მწერლობა აქვსთ, მაშინ როდესაც ბასკების სიტყვიერება ძლიერ ღარიბიაო. დასასრულ პროფესორი მორფილი ამბობს: „მთარგენელს კარგად გაუკეთებია თავისი საქმე. მოვალენი ვართ გულითა და სულით მივულოცოთ, რომ ასეთი დიდი და ძნელი საქმე შეუსრულებია. მან გააცნო დასავლეთის ევროპის ერნი ქართველთ პოეტსაო“.

*** გუშინ-წინ ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ ორი მანდილოსანი სამის ყმაწვილითურთ კუკიის ხიდზე მიდიოდა ფაიტონით ალექსანდრეს ბაღისკენ. უხერხულმა მეეტლემ გაუფრთხილებლობით მარჯვნივ მაღაზიების თავში რომ ჩასაქანებელია, იქ ჩაიგდო. ამოსვლა რომ დააპირა, ამ დროს ცხენის რკინის გზის ვაგონიც მოდიოდა ბაღის მხრიდგან. ცხენები შეფრთხნენ, ფაიტონი შეაკორიკეს, მოსდეს ბოძსა და გადააბრუნეს. ქალები და ყმაწვილები ტროტუარზე გადმოცვივდნენ და საშინელი წივილ-კივილი მორთეს. ყმაწვილებს ცხვირიდგან სისხლი წასქდათ და ისეთის სასო-წარკვეთილებით ბღაოდნენ, რომ კაცს შესზარავდა. მანდილოსნებიც თუმცა ძალიან დაიბეჟნენ, მაგრამ საწყლებს თავიანთი თავი დაავიწყდათ და ყმაწვილების დამშვიდებას შეუდგნენ. ხალხიც მოგროვდა აქეთ-იქიდგან და წყალი მიაშველა. პოლიციელი მხოლოდ ერთი იყო და იმანაც განა თუ ხალხს უგდო ყური, აიღო და ფაიტონის აყენებას შეუდგა. ერთმა დამსწრეთაგანმა ახალგაზდა კაცმა სასტვენი ამოიღო უბიდგან და შტვენა დაიწყო, ეგები მეორე პოლიციელიც მოგვეშველოსო, მაგრამ იქ მყოფმა პოლიციელმა დაუშალა, ნუ უსტვენ, კერძო კაცს ნება არ აქვს სტვენისაო(?). ფაიტონი რომ წამოაყენეს, ცხენები გაგიჟდნენ და გაიტაცეს ეტლი მიხეილის ქუჩისაკენ. კარგი რომ დროზე გააჩერეს და მეორე ხიფათი და უბედურება არა მომხდარა. ამასობაში, როგორც იყო მოაბრუნეს ყმაწვილები და მეორე ფაიტონით გაისტუმრეს სახლში. სთქვეს, რომ ბოქაულ ბ-ნ სვიმონოვის სახლობა იყო ეს მანდილოსნები და ყმაწვილებიო, მაგრამ დაჰეშმარიტებით-კი ვერ შევიტყეთ.

*** მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ბ-ნს ასკერ-აღა-ადიგეზალოვს დაუწერია ისტორიული რომანი აღა-მაჰმედ-ხანის შემოსევის დროიდამ. გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“ ამბობს, რომ ამ რომანში ავტორს მეტად ვრცლად აქვს აწერილი სპარსელებისა, კავკასიის აქეთ მხრის მოსლემინების ზნე—ჩვეულებანი, ე. ი. ადერბეიჯანის თათრებისაო; აგრეთვე ის ადგილები, სადაც-კი მოჰხვედრია აღა-მაჰმად-ხანის ჯარის ფეხი, განსაკუთრებით შუშას ციხეო. ამ წიგნს ის მნიშვნელობა აქვს კიდეო— ამბობს გაზეთი,—რომ ქართველები, როცა-კი აღა-მაჰმედ-ხანის შემოსვლაზე ჰფიქრობენ, უთუოდ ადერბეიჯანის თათრებსაც ბრალსა სდებენ სპარსელებთან ერთად იმ შემოსევისათვის, რომელმაც იმსხვერპლა სხვათა შორის საქართველოს სატახტო ქალაქიცაო. ბ-ნ ასკერ-აღას წიგნში ქართველები ცხადად დაინახვენო—განაგრძობს გაზეთი,—რომ ადერბეიჯანის თათრები სრულიად დამნაშავენი არ არიან აღა-მაჰმედ-ხანის შემოსევაშიო, პირიქით იმათაც ბევრი გაჭირვება მიიღეს იმ დროსაო.

ასკერ-აღას წიგნი რუსულსა და ადებერჯანულს ენაზედ გამოვა ერთს დროსაო. გაზეთი იმასაც ამბობს, კარგს იზამდა ავტორი, ქართულადაც რომ დაებეჭდა ეს წიგნი, მკითხველები არ მოაკლდებოდაო.

*** მცხეთა. გუშინ წინ, პარასკევს, ერთი საშინელი უბედურობა კიდევ მოხდა არაგვზე. შეუბრალებელმა მდინარემ სამი ადამიანი ერთად იმსხვერპლა. საქმე ასრე მოხდა: ერთი ქვრივი დედაკაცი თავისის ორის ბავშვით დუშეთიდამ საგურამოში მიდიოდა ურმით. წილკნის სადგურის ქვემოდ, ნატახტარის ახლო, არაგვში უნდა გასულიყვნენ, მაგრამ საუბედუროდ მეურმეს ფონი კარგად არა სცოდნია და ურემი გადაჰბრუნებია. მეურმეს თავისს თავისათვის-კი უშველია და გადარჩენილა, მხოლოდ ქვრივი დედაკაცი თავისის ბავშვებით არაგვს უმსხვერპლია. ერთის ყმაწვილის გვამი უკვე იპოვეს, დანარჩენების საპოვნად-კი ადგილობრივმა ბოქაულმა ჯეროვანი განკარგულება მოახდინა. ეს უბედურობა პირველი არ არის და დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არც უკანასკნელი იქმნება. ყოველს წელს არამც თუ ადიდების დროს, არამედ წყალ-პატარაობის დროსაც-კი ხშირია ამ ნაირი სამწუხარო ამბები. ამიტომაც არის რომ მთელი საბოქაულო დიდის მოუთმენლობით ელოდდება ხიდის საქმის დამთავრებას.

„ივერიის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ადგილობრივმა ბოქაულმა შეადგინა პროექტი არაგვზე ხიდის აშენებისა. ეხლა, ქაღალდი ამ საქმის შესახებ წარდგენილია, სადაც ჯერ არს. სამწუხაროდ ჯერ არ ვიცით, მიეცა ამ თხოვნას წესიერი წინმსვლელობა, თუ არა. სასურველი-კია, რომ საჩქაროდ გაისინჯოს ეს მოხსენება და შეწყნარებულ იქმნას მთავრობისაგან. თორემ ვინ იცის, რამდენს ადამიანს იმსხვერპლებს კიდევ ეს შეუბრალებელი მდინარე.

ერთი სასიამოვნო ამბავიც. დღეს, კვირას, მცხეთაში იმართება სახალხო

---

მართ, ხსენებულს ნაწილებში ოთხხუთს ადგილას მოიპოვოს ექვს-ექვსი დღიური მიწა მაინც და ზედ ბაღები გააშენოს,—ჰო, დღეს რომ გადასწყვიტოს ამისთანა საქმე, მარტო თითო ადგილის მიწის ფასად უნდა გაიღოს არა ნაკლებ ოცი ათასის თუმნისა და, მაშასადამე, ოთხი-ხუთი ასეთი ნაჭერი მიწა უნდა დაუჯდეს თითქმის ერთი მილიონი ფული. და რადგან ამდენს ფულს ვერას გზით ვერ მოახერხებს ქალაქი, არა თუ დღეს, არამედ ათის წლის განმავლობაშიაც, ამის გამო შემდეგში საბაღე ადგილების შოვნა უფრო გაუძნელდება სიძვირისგამო. იმავ-თავით რომ შორსმხედველობა გამოეჩინა ქალაქის წარმომადგენლობას, რასაკვირველია, ამ დღეში არ ჩავარდებოდა.

ბაზრებისა და მოედნების უქონლობა შუაგულს ადგილებში ხომ გაუზომელს ნაკლს შეადგენს ტფილისის ცხოვრებისთვის. მტკვრის მარჯვენა მხარეს ქალაქსა აქვს მხოლოდ სამი საბაზრო მოედანი: ერთი ვერაზე, ერთი იარმუკა და ერთიც—თათრის მოედანი, მაგრამ ვაი ამ ქონას. ვერც ერთი მათგანი თავისს დანიშნულებას ვერ ასრულებს. ვერის მოედანი შეშის ურმებისათვის არის დანიშნული, მაგრამ ისეთი ვიწროა, რომ თუ ძალიან ადრე არ მიასწრო ურემმა და ცოტა შეიგვიანა, იქ ადგილს ველარ ჰპოულობს და მერე ქუჩა-ქუჩა დახეტიალობს. იარმუკაში მოთავსებულან ქალაქის ყასბები და ახალ თევზის გამყიდველნი. მაგრამ ამ აზიზ საქონლის დუქნები ზედი-ზედ არის მიყრილი, რაიცა ჰსწამლავს ჰაერს, და მუშტარი ხომ ვერც-კი მოთავსებულა. კვირაობით კიდე ისე გაივსება ხოლმე ხალხით, რომ ვაგონები ტაატით ადი-ჩადის, რომ ხალხი არ გაჟლიტოს. თათრის მოედანი ხორბლისა და ფქვილის ბაზარია, მაგრამ ისეთი ვიწრო რამ არის, რომ სამი ურემი ერთად ვერ გაიმართება ზედა. მოედნები მტკვრის მარცხენა მხირეზე ხომ სახსენებელიც არ არის.

**

მოედნებისა და ბაზრების უქონლობა მარტო იმიტომ-კი არ შეადგენს ნაკლს ქალაქისას, რომ გამყიდველი და მუშტარი უხერხულად არიან და ამის გამო ვაჭრობა ვერ მოგვარებულა წესისამებრ. ეგ კიდევ არაფერია შედარებით იმ ზარალთან, რომელსაც ითმენს ქალაქის თვით-მართველობის ხაზინა. საქმე ის გახლავთ, რომ ყოველს რიგიანად მომართულს ქალაქს უმთავრესი გამორჩომა და შემოსავალი მოედნებიდგან და ბაზრებიდგან აქვს. ტფილისში-კი ამისთანა შემოსავალს, პირველი-კი არა, უკანასკნელი ალაგი უჭირავს. მაგისი მიზეზი ის არის, რომ სხვა ქალაქებში მოედნებისა და ბაზრებისთვის უკეთესი ადგილებია დატოვებული. ქალაქს იქა აქვს აშენებული საკუთარი ქარვასლები, დუქნები და საქონლის საწყობები, რომელშიაც ვაჭარი უმეტესს ქირას აძლევს, ვიდრე კერძო კაცების შენობებში, რადგან პირველი უფრო მარჯვე სავაჭრო ადგილას არის. ტფილისში რაღასა ვხედავთ? იმასა, რომ მოედნების გარშემო ქალაქს თითო ნაბიჯის ოდენა მიწაც არ მოეპოვება და რა ქარვასლებს გაიმართავს! პირ-იქით, მთელი გამორჩომა, რასაც-კი იძლევა მოედანი და ბაზარი, სულ კერძო კაცების ხელში გადადის და ქალაქის თვითმართველობა-კი მშრალზეა დარჩენილი.

ტფილისსაც რომ თავისი შესაფერი გამორჩომა ჰქონდეს მოედნებიდამ, როგორც სხვა ქალაქებია რუსეთში, მაშინ აღარც ჩვენი მოქალაქე იქნება ისე შეხუთული, როგორც დღეს არის სხვა-და-სხვა ხარჯისა და ბეგარისგან. ქალაქს მოთხოვნილება ათასი აქვს ❦ შემოსავალი-კი ცოტა. მეტი რა გზა აქვს თვით-მართველობას, რომ ხარჯი და გადასახადი არ დაადოს ყოველს მოქალაქეს, გამვლელსა და გამომვლელს. ამიტომაც არის, რომ ტფილისში ურემზედაც ხარჯი დააწესეს, ცხენზედაც, ჯორზედ... ცხვარი და ბატკანი რა არის, და იმაშიაც-კი ფული უნდა გაიღო, თუ მოედანზედ გამოიყვანე გასაყიდად. წყალი გასაყიდი შეიქმნა და ჰა, ლამის იმაზედ მიდგეს საქმე, რომ ჰაერსაც ბაჟი და ყადაღა დაადონ! ეგ სულ სიღარიბის ბრალია. ასეთი სიღარიბე აცილებული გვექნებოდა თავიდგან, რომ ჩვენს ქალაქს ჰქონდეს შესაფერი მოედნები, რომელიც მას ხელს უწყობდეს, რომ გარეშემო ქარვასლებისა და მაღაზიების აშენება მოხერხებული ყოფილიყო. ქალაქის წარმომადგენლობამ ჰკუა წააგო და დღეს მთელი მისი მხნეობა და მეცადინეობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ეს წაგებული ჰკუა როგორმე კვლავ მოიგოს, უკანვე დაიბრუნოს.

ამისთვის ორ-გვარი ღონისძიებაა მხოლოდ. ან ისა, რომ არსებული მოედნები ერთი ათად გააფართო-

წიგნთ-საცავი და სასოფლო სამართველო. წიგნთ-საცავი და სასოფლო სამართველოც მშვენიერად არის მოწყობილი. სხვა-და-სხვა კაცმა ბლომად შესწირა წიგნები და ფული, ასე რომ, თუ არა ვცდებით, ეხლავე წიგნთ-საცავის გამგეობას შეგროვილი აქვს თხუთმეტ თუმნამდე.

***თელავი: ამ ცოტა ხანში აქ შესდგა ქართულ სიმღერათა მოყვარულების დასი, სამოქალაქო სკოლის მასწავლებლის ბ-ნ მამალაძის ლოტბარობით. დასში თვრამეტი კაცია. ორისა თუ სამის თვის მეცადინეობის შემდეგ ამ დასმა 25 მაისს კონცერტი გამართა ჩვენის „კლუბის“ დარბაზში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. კონცერტი სამის განყოფილებისაგან შესდგებოდა — თითოში ექვს-ექვსი ნომერი იმღერეს, სულ 18, ქართლ-კახური, იმერ-გურული და მეგრული ხმა. რუსული სახალხო ხმებიც იმღერეს, აგრეთვე ევროპიულიცა, მაგ. შვედური „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“ და სხვ.

ყველა სამღერალი ნომერი დასმა მწყობრად და საუცხოვოდ აღასრულა, ასე რომ ზოგიერთი სიმღერა საზოგადოებამ გაამეორებინა კიდეც. საზოგადოდ კონცერტმა კარგად ჩაიარა. დამწრე საზოგადოებამ ისიამოვნა, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო, თუმცა კარგი ამინდი შეხვდა ამ დღეს. კონცერტის დროს საზოგადოება ჩვენს ბაღში დასეირნობდა და იქიდამ უგდებდა ყურს გალობას. რომ გეკითხათ ვისთვისმე, რატომ არ მიდიხარ საქველ-მოქმედო კონცერტშიო, პასუხად მიიღებდით: „ეჰ, უცხონი ხომ არ არიან—ჩვენებია, აქაურებიო, არა ღირს წასვლადაო“.

ესე აფასებენ „ჩვენებურებსა“ და საქველ-მოქმედო საქმეს.

*** 1 ივნისს, დილის $4^1/_2$ საათზე, ელისაბედის ქუჩაზედ სოფ. ნორიოს მცხოვრებელმა ალექსი გიუნაშვილმა თავისის ცოლს საყვარელთან მძინარეს მოასწრო და ხანჯლით სამს ალაგას დასჩხვლიტა. ქალი საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ქმარი შეიპყრეს.

---

## მართებლობის განკარგულებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესის მოხსენებითა, თანახმად განჩინებისა უწმ. სინოდისა 15 მაისს უმოწყალესად ინება დაჯილდოება სასულიერო პირთა ქვემოდ მოხსენებულის განსხვავებულის ნიშნითა ეპარქიის უწყებაში სამსახურისათვის.

საქართველოს საექსარხოსოში ქართლისა და კახეთის ეპარქიაში: ა) წმ. ანნის მეორე ხარისხის ორდენითა: ხირსის სტეფანეს მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ევსტრატი; ტფილისის ქალაქის სიონის მიძინების საკრებულო ტაძრის დეკანოზი ესტატე ელიევი; ბ) წმ. ანნის მესამე ხარისხის ორდენით: სიღნაღის მაზრის ვეჟინის სოფლის მღვდელი ქრისტესია ასათიანი.

იმერეთის ეპარქიაში: ა) წმ. ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენითა: წინამძღვარი წმიდათა დავით და კონსტანტინეს მონასტრისა, არქიმანდრიტი ბესარიონი; შორაპნის მაზრის სოფლის სავანეს ეკლესიის დეკანოზი იოანნე აბაშიძე; ბ) წმ. ანნის მეორე ხარისხის ორდენითა: შორაპნის მაზრის დაბა ყვირილის ეკლესიის დეკანოზი დავით ლამბაშიძე; რაჭის მაზრის დაბა ონის ეკლესიის დეკანოზი ალექსი გიორგობიანი.

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში: ა) წმ. ანნის მესამე ხარისხის ორდენითა: წინამძღვარი ნახარების ხარების მეორე კლასის მონასტრისა არქიმანდრიტი იონა; წინამძღვარი იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრისა არქიმანდრიტი გერასიმე.

—

საქართველოს საექსარხოსოში: ქართლისა და კახეთის ეპარქიაში: ა) დეკანოზობის ხარისხით.—ტფილისის ქალაქის, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი დავით ჰრელაშვილი, ამავე ქალაქის, დიდუბის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი ბესარიონ ზედგინიძე; გორის მაზრის, რუისის ფერისცვალების ტაძრის მღვდელი იოანნე ინაევი; სიღნაღის მაზრის, სოფლის საკობის ეკლესიის მღვდელი დავით იაშვილი; ბ) მკერდის ჯვარითა, უწმ. სინოდისაგან ბოძებულითა:—წინამძღვარი ბოდბის წმ. ნინას დედათა მონასტრის იგუმენია იუვენალია; ხაზინადარი ახალის ათონის სიმონ კანანელის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი ილარიონი; ხაზინადარი მარტყოფის წმ. ანტონის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი გერასიმე; ტფილისის ქალაქის, ავლაბრის სასაფლაოს პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი ზაქარია გძელიევი; გორის მაზრის, სოფლის ხოვლეების მღვდელი გიორგი კავსაძე; სიღნაღის მაზრის, კედლის სამრეკლოის მღვდელი იოსებ მახაროვი; იმავე მაზრის დუშეგანის ეკლესიის მღვდელი ილარიონ იაევი; ბლაღოჩინი თელავის პირველის ოლქისა, კურდღელაურის ეკ. მღვდელი მიხეილ ხელაევი; თელავის მაზრის, ყვარელის ეკ. მღვდელი მიხეილ ვარდიევი; გ) კამილავკითა: ტფილისის ქალაქის ამაღლების ეკ. მღვდელი დავით გულაბოვი; ამიერ კავკასიის რკინის გზის მობრავ წმ. კონსტანტინე და ელენეს ეკ. მღვდელი იროდიონ ნანაბოვი; ტფილისის მაზრის, ნორიოს სოფლის მღვდელი სიმონ მანსვეტოვი; ამავე მაზრის საგარეჯოს ეკ. მღვდელი მიხეილ გულისოვი; გორის მაზრის, სოფლის ტირძნისის ეკ. მღვდელი სპირიდონ კასრაძე; ამავე მაზრის, ერთა წმიდის სოფ. ეკ. მღვდელი გიორგი კარგარეთელი; სიღნაღის მაზრის, შიბნის ეკ. მღვდელი იოანნე ჯამასპოვი; ახალციხის მაზრის, ერკოთის სოფლის ეკ. მღვდელი სამსონ ზედგინიძე; ბორჩალოს მაზრის, სოფლის პრივოლნის ეკ. მღვდელი იოანნე მანსვეტოვი; დუშეთის მაზრის, ბოკოცინის ეკლესიის მღვდელი გიორგი ასათიანი; დ) უწმიდესისა და უმართებულესის სინოდის ლოცვა-კურთხევით უგრამოტოდ: ტფილისის ქალაქის არქიერის სასახლის მღვდელ-მონაზონი ელისე; ხაზინადარი ტფილისის ფერისცვალების მონასტრისა მღვდელ-მონაზონი თეოდოსი; ამავე მონასტრის მღვდელ-მონაზონი ვასილი; ხაზინადარი იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოისა მღვდელ მონაზონი დომენტი; სიღნაღის მაზრის ჭალაუბნის ღვთისმშობლის ეკ. მღვდელი იოანნე მატათოვი (იგივე მატაფიევი).

იმერეთის ეპარქიაში: ა) დეკანოზის ხარისხით:—ქუთაისის მაზრის, სიმონეთის ეკ. მღვდელი გიორგი კლდიაშვილი; ბ) მკერდის ჯვრით, უწმ. სინოდისაგან ბოძებულით:—ეკონომი ჭელიშის ღვთის-მშობლის მონასტრისა, მღვდელ-მონაზონი ანტონი; ეკონომი გელათის ღვთის-მშობლის ეკ. მღვდელ-მონაზონი გაბრიელი; შორაპნის მაზრის, სოფლის წევის ეკ. მღვდელი ლუკა მაღრაძე; გ) კამილავკითა:—ქუთაისის მაზრის, ივანდიდის ეკ. მღვდელი თომა მაჰარაძე; ამავე მაზრის ფარცხანაყანევის ეკ. მღვდელი გრიგოლ თევდორაძე; ამავე მაზრის სიმონეთის ეკ. მღვდელი სიმონ ჰუმბურიძე; შორაპნის მაზრის, ცხრუკვეთის ეკ. მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი; რაჭის მაზრის ტოლის სოფლის ეკ. მღვდელი სამსონ ლანდია.

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში: ა) იგუმენიის ხარისხით: — სვანეთის მუშკიერის წმ. გიორგის ეკ. მღვდელ-მონაზონი დანიელი; ბ) დეკანოზობის ხარისხით: — კირცხინის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი თომა გოშუა; გ) მკერდის ჯვრით, უწმ. სინოდისაგან ბოძებულითა: სვანეთის ლენჯერის მაცხოვრის ეკ. მღვდელ-მონაზონი კლემენტი; სადაროს გამგე იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი ბენიამენი; ცალენჯიხის მაცხოვრის ეკ. მღვდელი სოფრომი თვალთვაძე; ქალაქის წმ. მთავარ-ანგელოზის მღვდელი იოანნე კუხალაშვილი; დ) კამილავკითა: ზემოჩიბათის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი თომა ჯორბენაძე; ჭანეთის მთავარ-ანგელოზის ეკ. მღვდელი მაქსიმე ქავთარაძე; ზუგდიდის შობის ეკ. მღვდელი მათე ჯგუშია; ნაქალაქევის წმ. ორმეოც მოწამეთა ეკ. მღვდელი გიორგი შალამბერიძე; მეოთხე ჭალადიდის მუხურის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ათანასე ბაბილუა; ტაბორის ჯვარცმის ეკ. მღვდელი დავით ქარსელაძე; ზანძა ბერდიდვარის მთავარ-ანგელოზის ეკ. მღვდელი იოანნე ფოჩხუა:

—

დაჯილდოვებულ იქმნენ სკუფიითა

I. საქართველოს ეპარქიაში: 1) ბლაღოჩინი III ოლქის, გორის მაზრის, გორის მიძინების სობორისა, მღვდელი იოელ გამრეკელოვი, 2) სოფლის ჭყვრების ტფილისის მაზრის, ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი მიხეილ ტაპადაძე, 3) სოფლის არტანის, თელავის მაზრის, აღდგომის ეკლესიის მღვდელი იოანე ალნიევი, 4) სოფლის ვეჟინის, სიღნაღის მაზრის, პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი პეტრე ელიზბაროვი, 5) სოფლის წინარეხის, გორის მაზრის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი მიხეილ მცხვეთაძე, 6) სოფლის ქვემოხანდაკის, გორის მაზრის, მიძინების ეკლესიის მღვდელი სიმონ ღარიბოვი, 7) სოფლის კოდის, ტფილისის მაზრისა, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის მღვდელი საბა პეტრიევი, 8) სოფლის აზანის, დუშეთის მაზრის, წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ზაქარია პეტრიევი, 9) კაილასარის კვრიაკე და ივლიტეს ეკლესიის, ერევნის მაზრის, მღვდელი ალექსანდრე ალავერდოვი და 10) ქაშვეთის ქ. ტფილისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი მიხეილ დავიდოვი.

II. იმერეთის ეპარქიაში: 1) სოფლის ქედის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი იუსტინე მომთორია, 2) სოფლის ქვემო-ქიტერის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი მათე ჰეიშვილი, 3) სოფლის ბაშის სულთ-მოფენის ეკლესიის მღვდელი გერასიმე აბზიანიძე, 4) სოფლის სვირის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ალექსი ცხადაძე, და 5 სოფლის ლეჩკითის წმ. სამების ეკლესიის მღვდელი ისიდორე კროპი.

III. სოხუმის ეპარქიაში: მცირე ქალაქ გუდაუთაიოვის მღვ. დიმიტრი სობოლევი.

—

დაჯილდოვებულ იქმნენ ბედენიკით:

საქართველოს ეპარქიაში: 1) ქ. ტფილისის იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესიის მღვდელი, კანდიდატი ღვთისმეტყველებისა, თეოდორე ბოლოლიუბოვი, 2) სოფლის ზახორის, გორის მაზრის, მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი იოსებ უზნაძე, 3) სოფლის საგარეჯოს, ტფილისის მაზრის, სიმეონ მესვეტის ეკლესიის მღვდელი ვასილ ქიტიევი, 4) სოფლის პატარძეულის, ტფილისის მაზრის, თომას ეკლესიის მღვდელი ისიდორე კურხული, 5) სოფლის შაბლაანის, ტფილისის მაზრის, ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ტაბლიევი, 6) სოფლის გურჯაანის, სიღნაღის მაზრის, ნათლის-მცემლის ეკლესიის მღვდელი პოლიევქტი კარბელოვი, 7) სოფლის ვეჯინის სიღნაღის მაზრის, ღვთის-მეტყველების ეკლესიის მღვდელი სოლომონ ბერიტოვი და 8) სოფლის მცელ მანგლისის, ტფილისის მაზრის, მიძინების ეკლესიის მღვდელი მიხეილ მახათაძე.

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში: მღვდელი ხორგის წმ. მთავარ-ანგელოზის ეკლესიისა დავით ჯაფარიძე დაჯილდოებულ იქმნა ბედენიკით. („მწყემსი“).

---

ვოს, ან არა-და სულ ერთიანად დაჰკეტოს, შეჰკრას და სხვა განაპირებულ ადგილებში გახსნას ახალი მოედნები. ამ ორს საშუალებაში პირველი უფრო სასურველია, რადგან ყოველს ნაწილს ქალაქისას თავისი ბაზარი ექნება, და ეს ძვირად უღირს მოქალაქეს, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია იმავ უფულობის მიზეზით, რომელიც დღეს უშლის ქალაქს ბაღებისათვის ადგილების შესყიდვას—სიძვირის გამო. მარტო იარმუკა რომ რიგიან მოედნად გარდაჰქმნან, საჭიროა შეისყიდოს ქალაქმა მამულები თავად მუხრან-ბატონისა, სომხის სემინარიისა, ვანქის ტაძრისა თავიანთის ძვირფასის შენობებით, და ამისთვის მილიონები არა კმარა. სამაგიეროდ, მეორე ღონისძიება, ე. ი. მოედნების გადატანა და ადგილის გამოცვლა, უფრო ადვილია და რაც მალე მიჰმართავს მას ქალაქი, მით უფრო ადრე მოიგებს იმ დაკარგულ ჰკუას, რომელიც დღეს სანანურადა აქვს გამხდარი.

**

ჩვენ ზოგიერთი ადგილიც შეგვიძლიან დავასახელოთ, სადაც არ იქმნება გასაჭირი მოედნებისა და ბაზრების გახსნა. ერთ უკეთეს ადგილად მიგვაჩნია მადათოვის კუნძული, სადაც ადვილად გადმოიტანება იარმუკა. მადათოვის კუნძულს ისეთი მარჯვე მდებარეობა აქვს, რომ აქ არა თუ მარტო ხორცისა და ხორაგეულობის ბაზარი, არამედ ჩინებულად გაიმართება ყველა სხვა გვარი ქარვასლები და მაღაზიები. კუნძულს უჭირავს შუაგული ქალაქისა და ერთ ნაირად გამოსადეგია როგორც მარჯვენა, აგრეთვე მარცხენა მხარის ქალაქისთვის. საზოგადოდ ამ კუნძულის შესახებ სხვა დროსაც გვექნება ბაასი. ეხლაკი მხოლოდ შემდეგს ამბავს მოგახსენებთ. შარშან ქუთაისის საადგილმამულო ბანკი ცხრამეტი ათას თუმნად აძლევდა ტფილისს მირზოევისეულს დუქნებს, რომელიც ხიდის ორსავ მხარეზეა ჩამწკრივებული, და აქეთ-იქით მიწას თითქმის ოთხს დღიურს. წარმოიდგინეთ, ქალაქმა უარი ჰყო და ერთმა კერძო ვაჭარმაკი ოცი ათას თუმანზე მეტი ფული მისცა. წარმოიდგინეთ, რომ ეხლა მარტო მაღაზიები იხდიან ამ ვალს და კიდეც თურმე მოგებასა ჰხედავს მყიდველი. ეს შემოსავალი დღეს ქალაქის ხაზინას ექნებოდა, თანაც თავისს ადგილს მიუმატებდა ამ ოთხს დღიურს მიწას და ჩინებული მოედანი გაიმართებოდა, სადაც ქალაქს შეეძლო პირველს შემთხვევაში აღემართა იაფ-ფასიანი შენობები დუქნებისთვის. ამით ისეთს წყაროს სიმდიდრისას შეიძენდა, რომ კვლავ არავითარი გაჭირვება არ ენახა. როგორც ზოგიერთის წყაროდგან ვიცით, ეს საქმე დღესაც მოსახერხებელია თურმე.

აგრეთვე ადვილი გადასატანია თათრის მოედანი. ამისთვის ორი-სამი მარჯვე ადგილია ორთაჭალისკენ—მირზოევისა, სუმბათოვებისა და სხვებისა. მირზოევის მამულის იჯარადარი წელიწადში აძლევს პატრონს რალაც ოცს თუმანს. მამული თითქმის ორმოცი დღიური იქნება. დღეს რაც ვერისკენ შეშის ურმები მოდის, იმათ ახდევინებს ქალაქი თითოზე ორს შაურს და ამ სახით წელიწადში ათას თუმნამდე ფულს იღებს. ამდენივე ურემი შემოდის ორთაჭალიდამ და ქალაქის მაგიერ, მოედნების უქონლობის გამო, ხარჯს ახდევინებენ იჯარადრები, რომელნიც თავიანთს ადგილებში აძლევენ ურმებს ბინას. თითო ურემი თითო კონა ფიჩხს იხდის, ისეთს კონას, რომელიც ორშაურზე ძვირადა ღირს. ზაფხულობით დიდძალი ურემი ჩამოდის საზამთროსი აქვე და შემოსავალი კვლავ სცდება ქალაქის ხაზინას და გადადის კერძო კაცების ხელში. იქ რომ ქალაქს თავისი მოედანი ჰქონდეს, შეშისა და საზამთროების ურმის ხარჯს თითონ მიიზიდავდა, რაც წელიწადში ათას ხუთას თუმანს გაასწორებდა. ახლა ამას დაუმატეთ ის ურმები, რომელიც ქერითა და პურით არის დატვირთული და, რადგან ქალაქის მოედანზე ადგილი არა აქვთ, კერძო კაცების ბინაზე დგება და იმათ აძლევს ხარჯს. ხოლო ეს კიდევ არაფერია შედარებით იმ შემოსავალთან, რომელიც დღეს კიდევ კერძო ქარვასლებსა და ბაკებს მიაქვთ და რომელიც ქალაქს შეემატებოდა, უკეთუ ამისთანა მოედანზე შესაფერს საწყობებს იქონიებდა.

აი დიდი საგანი, რომელიც წინ უდგას ტფილისის თვით-მართველობას, და რაც მალე შეასრულებს მას, მით უფრო სახელოვანი იქნება მისი მოღვაწეობა ქალაქის სასარგებლოდ.

სანო

# დეპეშა

31 მაისს *)

**ლონდონი.** მოზამბიკიდგან ამბავი მოვიდა, დიდად აღელვა ხალხი იმ მოხსენებამ, რომ პორტუგალელი გუბეხა 3—4 ათასის პორტუგალელით აეშალა პორტუგალელებს და ინგლისის მომხრეობა გამოაცხადაო. არეულობის მოსასპობლად გუბერნატორმა ჯარი გაჰგზავნა. გუბეხამ დაიხელქვეითა ჩრილო მხარეები პუნგვედამ ზამბეზამდე.

**პარიჟი.** სასამართლოს გამოძიება დაინიშნა პანამის არხის საზოგადოების გამგეობის წევრთ წინაამდეგ, რომელთაც საზოგადოების 60 აქციონერი უჩივის უკანასკნელ დროის გამოცემათა თაობაზე. რადგან ლესეპსი კავალერია დიდ საოფიცრო ჯვრის ორდენის საპატიო ლეგიონისა, ამიტომ იმისი გასამართლება მხოლოდ სააპელაციო პალატას შეუძლიან.

პალატამ განიხილა პროექტი პურზე გარდასახადის შემცირებისა და ამ კანონის სამოქმედოდ ისევ ძველი ვადა აგვისტო დანიშნა. ამის გამოსენატს კიდევ წარედგინება განსახილველად ეს პროექტი.

1 ივნისი

**პეტერბურგი.** ოფიციალური დეპეშა ხაბაროვკიდამ იუწყება, რომ 29 მაისს საღამოს $8^1/_2$ საათზედ მიბრძანდა იქ მემკვიდრე ცესარევიჩი და ნავთ-სადგურზედ მიეგებნენ მთავრობის წარმომადგენელნი და ქალაქის დეპუტაცია ქალაქის თავითურთ, რომელმაც მიართვა პურ-მარილი; აქვე დახვდნენ ქალები, შეგირდები სკოლებისა და მრავალი ხალხი, რომელიც აღტაცებით მიესალმა ცესარევიჩს. ნავთ-სადგურიდამ მისი უმაღლესობა წაბრძანდა ეტლით საკრებულო ტაძარში პარაკლისის მოსასმენად. თან ახლდა გენერალ-გუბერნატორი, რომლის სახლშიაც წაბრძანდა შემდეგ სეირნობისა გაჩირაღდნულს ქუჩებში.

„Journal de St.-Petersbourg“-ი იუწყება, რომ არნოლდ უაიტს, ცნობილს თავის გამოკვლევით აფრიკის კოლონიზაციისა, ბარონმა გირშმა მიანდო შეისწავლოს სამხრეთ ამერიკაში რუსეთის ებრაელთა დასახლების საქმე. უაიტი უკვე გაემგზავრა იმ ადგილებში, სადაც უფრო ბლომად მოსახლეობენ ებრაელნი. პეტერბურგში უაიტი დიდის სიამოვნებით და თანაგრძნობით მიიღეს, როგორც მაღალს, ისე დაბალს საადმინისტრაციო სფერაში. გაზეთი დასძენს, რომ რუსეთის მთავრობისთვის ძალიან სასიამოვნო იქმნება, თუ უაიტის მისსია კეთილად დაგვირგვინდება.

*) ეს დეპეშა გუშინდელს ნომერში უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი, მაგრამ ჩვენ არ მოგვსვლია, არ ვიცით-კი რატომ, — და ამიტომ მხოლოდ დღეს ვბეჭდავთ.

## პეტერბურგის ბირჟა, 31 მაისი.

| | მყიდველისა. მან. | კ. | გამყიდველისა. მან. | კ. | გაყიდულისა. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | ,, | — | ,, | 6 | 77 |
| ტამოჟნის კუპონები . | 135 | 62 | — | ,, | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 03 | — | ,, | — | ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 245 | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | $222^3/_4$ | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212 | | — | ,, | $210^1/_2$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, სოხუმით, საჩლვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


ბანკის თეატრი

კვირას, 2 ივნისს

„ВАСИЛИСА МЕЛЕНТЬЕВА“

დრამა 5 მოქ., თხზ. ა. ნ. ოსტროვსკისა

დედოფალ ანნას როლს აასრულებს ა. ნ. ერმოლოვა-კრეჩეტოვისა, ვასილისას როლს—მ. ნ. ერმოლოვისა.

ორშაბათს, 3 ივნისს,

ორლეანელი

**ქალწული**

(ჟანნა დ'არკ)

ტრაგ. 5 მოქ., თხზ. შილლერისა.

ჟანნა დ'არკას როლს აასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა, აგნესსას როლს—ა. ნ. ერმოლოვა-კრეჩეტოვისა.

სამშაბათს, 4 ივნისს,

უკანასკნელი გამოსათხოვარი წარმოდგენა

**სევილიას ვარსკვლავი**

ტრაგ. 5 მოქ. თხზ. ლოპე-დე-ვეგასი

ესტრელლის როლს აასრულებს მ. ნ. ერმოლოვისა.

—

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. ქალებსა უმორჩილესად სთხოვენ თეატრში შლაპა მოიხადონ.

დასაწყისი $8^1/_4$ საათზედ

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით. | „ | 50 |
| წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთა. . . . | „ | 50 |

საკალანტერიო მაღაზია

**პ. ი. ზროდსკისა**

**გადავიდა** შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.

(20—72—4)

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„ურბენი“ (LURBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი მაინც არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—19)


**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 1-го Іюня 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე